პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №17

ქ. თბილისი 02.10.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ქიტიაშვილი - გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ლელა მაისურაძე - პროფესიული განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ნანა ყუფუნია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში, ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტი;
ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ვახტანგ ჭარაია - ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ გულედანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის სპეციალისტი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ფერმერთა სკოლა
ლალი ალფაიძე - დირექტორი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი
ირინა ინწკირველი - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი
შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
კონსტანტინე თოფურია - საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი
სულხან სულხანიშვილი - კოლეჯის დირექტორი
მარიამ ჯოგლიძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის სამსახურის მენეჯერი
ნინო ლაბარტყავა - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი
თამარ ბიწაძე - იურისტი
დავით ბიტმალკიშვი - ვებ-დეველოპერი

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი
ირმა ლომაია - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
მარიამ წივწივაძე - იურისტი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მადონა გოგობერიშვილი
გიორგი ბერაია
მიხეილ სამხარაძე
ვანო ოთხოზორია
ვახტანგ ბოგველიშვილი
ეკა ბარათაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:45 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ქეთევან ციხისელმა განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა, საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი

განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომის აუდიო ჩაწერა, ვიდეო ან ფოტოგადაღება ან პირდაპირი ტრანსლირება დაუშვებელია სხდომის მონაწილეთა წინასწარი თანხმობის გარეშე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №143 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, თუმცა საბჭომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შუამდგომლობით მიმართა, რომ წერილით გამოეთხოვა დაწესებულებისგან კლინიკური პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული ყველა განახლებული ხელშეკრულება, როგორც „ევექსის", ასევე მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ახალი ხელშეკრულებები. როგორც კახაბერ ერაძემ აღნიშნა, დაწესებულებამ უკვე გამოაგზავნა ხელშეკრულებები. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას საბჭო ცნობად იღებს.

გარდა ამისა, კახაბერ ერაძემ საბჭოს მიმართა თხოვნით, დღის წესრიგს მე-6 საკითხად დაემატოს შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ დღის წესრიგში ცვლილებას და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ფერმერთა სკოლა ჩასმული იყო გეგმიური მონიტორინგის გეგმაში. მონიტორინგის ვიზიტის წინა დღეს, ავტორიზაციის დებულების თანახმად, დაწესებულებას დაუკავშირდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი და აცნობა, რომ მეორე დღეს უნდა განხორციელებულიყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. დაწესებულებამ იმავე დღეს მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი. გამომდინარე აქედან, ვიზიტი აღარ განხორციელებულა. კახაბერ ერაძემ თხოვნით მიმართა საბჭოს, ზემოთქმულის საფუძველზე, კენჭისყრაზე დაეყენებინა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

თამარ ქიტიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა იყო აღნიშნული საკითხის დაყენების მიზეზი. დაწესებულების დირექტორმა ლალი ალფაიძემ განმარტა, რომ კოლეჯი არის დაბალბიუჯეტიანი, სწავლა არის უფასო და დამფინანსებელი არის საპატრიარქო. სხვა დამფინანსებელი დაწესებულებას არ ჰყავს, ამიტომ იგი ფინანსურად ვერ გაწვდა ახალი მოდულური პროგრამების განხორციელებას და მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. როგორც დაწესებულების

დირექტორმა აღნიშნა, სამომავლოდ გეგმავენ პროფესიული გადამზადების კუთხით მუშაობას და შეიძლება კოლეჯი გადაკეთდეს პროფესიული გადამზადების ცენტრად. თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, მილევადი რეჟიმის პროგრამებზე მაინც თუ ჰყავდა კოლეჯს სტუდენტები, რაზეც ლალი ალფაიძემ უპასუხა, რომ არ ჰყავდათ სტუდენტები და ჯერ არც უცდიათ არცერთი მოდულური პროგრამის განხორციელება. მისი აზრით, არსებული ბაზა სრულიად დამაკმაყოფილებელია პროფესიული გადამზადებისთვის, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მომზადება-გადამზადების პროცესში დაგროვილი გამოცდილება და პრაქტიკა დაეხმარებოდა მას მოდულური პროგრამების განხორციელებაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 438111106) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს აცნობა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვერ ესწრება საბჭოს სხდომას, თუმცა არსებობს მინდობილობა იმ პირის თაობაზე, რომელსაც ანიჭებს უფლებამოსილებას, წარმოადგინოს აკადემია.

კახაბერ ერაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას მინიჭებული აქვს პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. დაწესებულებამ შეცვალა სწავლების მიდგომა და სურვილი აქვს, აღნიშნული პროგრამა განახორციელოს დუალური პრინციპითაც სტუდენტთა ადგილების არსებული ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. როგორც კახაბერ ერაძემ განაცხადა, უკვე გადამოწმებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რეკომენდაციებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და არ იქნება წინააღმდეგი აღნიშნული ცვლილების. თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა პარტნიორი ორგანიზაციით და ასევე მისი სასწავლო პროცესში ჩართვისთვის მზაობის საკითხით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პარტნიორი ორგანიზაციაა ფოთის პორტი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. პარტნიორთან გადაგზავნილ იქნა პროგრამა და შერჩეულ იქნენ ინსტრუქტორები.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, ანასტასია ქიტიაშვილმა სხდომაზე დასვა საკითხი აცილების შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) პროექტის ფარგლებში მონაწილეობდა ამ მიმართულებით. მისი თქმით, ნოემბერში დაიწყება ინსტრუქტორებისა და პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი, რომელსაც გერმანელი ექსპერტი ჩაატარებს, ასევე ისინი მასალების მომზადებაშიც მიიღებენ მონაწილეობას. ანასტასია ქიტიაშვილმა განაცხადა, რომ მოხარული იყო, აღნიშნული პროგრამა დუალური პრინციპით რომ განხორციელდებოდა.

თამარ ქიტიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ როგორაა დარეგულირებული პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისა და სწავლის შედეგების მიღწევის კოორდინაციის საკითხი, ანუ ჰყავს თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოყოფილი პირი კონკრეტულად ამ მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა მას უპასუხა, რომ ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	22	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	21	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (1)	მესამე საფეხური	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	79	94	ქართული	7	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

2	ამწის ოპერირება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 1041	46	61	ქართული	20	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
3	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	ქართული	45	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
4	ამწის ოპერირება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 1041	76	106	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
5	შედუღება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	79	109	ქართული	22	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
6	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 0413	69	99	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
7	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (1, 2)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 0413	51	81	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
8	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია (1)	მეხუთე საფეხური / დონე	ა) ასოცირებული ხარისხი თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 1041 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 040780	88	118	ქართული	60	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - მადონა გოგობერიშვილმა და გიორგი ბერაიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მადონა გოგობერიშვილმა, საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია და გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა. მან აღნიშნა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 და 20 აგვისტოს. კოლეჯს, პროგრამის დამატების განაცხადით, წარმოდგენილი ჰქონდა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება". ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად განიხილეს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის სამწლიანი თანამშრომლობა გერმანულ კომპანიასთან „Medijobline", რომელიც არის გერმანიაში დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნებისათვის გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებას, დასაქმებისთვის შესაფერისი კლინიკების მოძიება/შეთავაზებას და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებისას გამოვლენილი უნარებისა და შესაბამისი საათების ნაკლებობის შემთხვევაში, კოლეჯი ფანასკერტელი უზრუნველყოფს

მათ შევსებას მოკლევადიანი, საჭიროებაზე ორიენტირებული, სასერტიფიკატო თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსებით, რომელსაც აღიარებს გერმანული მხარე. სტუდენტები ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაში, რაც ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტები გადიან გასაუბრებას დამსაქმებელი კლინიკების წარმომადგენლებთან, დებენ კონტრაქტებს და კონტრაქტში მითითებული ვადის შესაბამისად, სამუშაო ვიზით მიემგზავრებიან გერმანიაში.

დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული პროექტის გაღრმავება იგეგმება სწორედ ახალი საგანმანათლებლო პროგრამით - „საექთნო განათლება". აღნიშნული პროგრამა არის 180 კრედიტიანი, თითქმის თავსებადია ევროპულ სტანდარტებთან და მეტად საინტერესოა გერმანული მხარისთვის. ამავდროულად, გამომდინარე საქართველოში ექთნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დეფიციტიდან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გერმანელ პარტნიორებთან თანამშრომლობით სამუშაო გამოცდილების მიღება ერთგვარად ხელს შეუწყობს ქართველ სტუდენტებს მაღალკვალიფიციურ ექთნებად ჩამოყალიბებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ვიზიტის დროს შესაბამისი აქტივობების განხორციელებისა და შეფასების შედეგად, ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მე-14 მუხლში დაწესებულებამ გაწეროს პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 მუხლში დაწესებულებამ დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს ჩანაწერი - „ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი";
- სასურველია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყოს, თუ რამდენ ასტრონომიულ საათს უდრის ერთი პროფესიული კრედიტი;
- სასურველია, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს წინაპირობებიან მოდულებზე დამატებითი შეფასების ვადები.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მადონა გოგობერიშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ვებგვერდზე განთავსებულია აღნიშნული დოკუმენტი, სადაც უკვე არსებობს შესაბამისი ჩანაწერი და გათვალისწინებულია რეკომენდაცია.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა ზემოხსენებული პროგრამისთვის არის 90. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი A და B გარემო, ძალიან კარგად აქვს შერჩეული კლინიკური სწავლების ობიექტები და გაფორმებულია მათთან შესაბამისი ხელშეკრულებები.

თავმჯდომარე დაინტერესდა კლინიკური მოდულების განხორციელების ბაზასთან დაკავშირებული საკითხით, კერძოდ, შესაბამის კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ასპექტებით. გიორგი ბერაიამ აღნიშნა, რომ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი კვალიფიკაციის მქონე, კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირების დაქირავება დაკისრებულია მთლიანად ორგანიზაციაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაცია ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას სრულ სერვისზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202066405) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე/ საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554	180	210	ქართული	90	ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. №1

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 459-ით.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 2 ოქტომბერი.

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - მიხეილ სამხარაძემ და ვანო ოთხოზორიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ სამხარაძემ, საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია ფოტომასალით და გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა. დასაწყისში მან აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19-21 აგვისტოს და ვიზიტის მიზანი იყო დადგენილ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასება. მიხეილ სამხარაძის თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ასევე იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც გაესაუბრნენ პრაქტიკის ხელმძღვანელებს. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებას სურს, რომ განახორციელოს სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ვებტექნოლოგიები, კომპიუტერული ქსელი და სისტემები და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ვიზიტის დროს შესაბამისი აქტივობების განხორციელებისა და შეფასების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

ქვესტანდარტი 1.1

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, მოდულის „Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა“ სწავლება დაგეგმილია მისი წინაპირობა მოდულის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ პარალელურად.

ქვესტანდარტი 2.1

ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს დროებით სარგებლობაში აქვს გაცემული ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის №5ა მისამართზე არსებული უძრავი ქონება - 553,4 კვ.მ. ფართის საერთო მოცულობით, არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ქვესტანდარტი 2.9

დაწესებულების მიერ შემუშავებული ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები არ ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- უმჯობესია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მისია, რომელიც იქნება მოკლე, მკაფიო და კონკრეტულად კოლეჯის საქმიანობაზე მორგებული;
- თანხვედრაში იქნას მოყვანილი ერთმანეთთან კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების პუნქტები;
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და დამტკიცების პროცედურები, რომლის მიხედვითაც მოახდენს უზუსტობების ჩასწორებას (პროგრამების მე-4 და მე-7 პუნქტები) დამტკიცებულ პროგრამებში;
- უმჯობესია, დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და დანართები გააფორმოს ბრძანების შესაბამისი რეკვიზიტებით;
- საჭიროა, დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს სასწავლო გეგმებში მითითებული საათები მოდულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ საათებთან;
- საჭიროა, დაწესებულებამ მოახდინოს მოდულებისა და „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართების ადაპტირება სრულად;
- სასურველია, დაწესებულებამ „საწარმოო პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულების განხორციელების მიდგომებში მიუთითოს, რომ აღნიშნული მოდულების სწავლება ხორციელდება საწარმოში, „გაცნობითი პრაქტიკის“ შემთხვევაში კი - სასწავლო ექსკურსიების მოწყობა ორგანიზაციებში;
- საჭიროა, დაწესებულებამ მოდულების დასკვნითი ნაწილი თანხვედრაში მოიყვანოს პროგრამის განმახორციელებელი პირების დანართთან;
- უმჯობესია, დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს პროგრამის განხორციელებისთვის თანამშრომელთა მომზადება: დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად, ასევე შიდა მექანიზმები ითვალისწინებდეს პროფესიული მასწავლებლების

ვალდებულებას, შეადგინონ კალენდარული გეგმები, შექმნან შეფასების ინსტრუმენტები და დაადგინონ მტკიცებულებების შეგროვება-შენახვის პირობები და ვადები;

- საჭიროა, დაწესებულებამ კომპანიებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში ასახოს თარიღი, სტუდენტების რაოდენობა, რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებაში გამოთქვამენ მხარეები თანამშრომლობის მზადყოფნას და გაწეროს კონკრეტული მოდულის განხორციელების/მიდგომების პირობები;
- საჭიროა, დაწესებულებამ რეგულაციებში სრულად გაწეროს პროფესიული სტუდენტის დამატებითი შეფასების უფლებით სარგებლობისა და უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
- საჭიროა, დაწესებულებამ რეგულაციებში გაწეროს არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის ფორმები და „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესი";
- საჭიროა, დაწესებულებამ მოდულებთან შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და ტერმინოლოგია შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას;
- სასურველია, დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, არსებულის გარდა, შეიმუშაოს სხვა მექანიზმებიც;
- უმჯობესია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის გახორციელების შეფასების სისტემაში მიუთითოს, რა ფორმით ჩაატარებს გამოკითხვებს და ტერმინოლოგია შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას;
- საჭიროა, დაწესებულებამ უზრუნველყოს დომეინის გამოყენების უფლების ამსახველი დოკუმენტის გაფორმება;
- საჭიროა, დაწესებულებამ თანხმედრაში მოიყვანოს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და სტრუქტურა;
- უმჯობესია, დაწესებულებამ განიხილოს დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის დამყარების კანონით განსაზღვრულთაგან ერთ-ერთი ფორმის გამოყენება;
- საჭიროა, დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პროგრამის მდგრადობის მიზნით, გაახანგრძლივოს პროგრამის დასრულებამდე და მასში ასახოს განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ან/და მოდული/მოდულები;
- საჭიროა, დაწესებულებამ განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არსებული ტერმინოლოგია თანხვედრაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხარვეზებისა და რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელს მიეცა საშუალება, გამოეთქვა თავისი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც მან პირველ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომელიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სტრუქტურას და მისი მოდულის წინაპირობას, ეს იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ის უკვე გამოსწორებულია.

თამარ ქიტიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა მტკიცებულებები მოიპოვეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, როგორ აქვს დაწესებულებას გაწერილი და

გააზრებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება საკმაოდ გამოცდილია უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში სხვა ტიპის სპეციფიკაა და საინტერესოა, როგორ არის ეს საკითხი კოლეჯში მოაზრებული. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და დამტკიცების წესს, რომელიც დაწესებულებას არ აქვს. მისი აზრით, აქედან გამომდინარეობდა სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემა, რადგან ვერ მოხდა ამ წესის გამოყენებით პროგრამის სრულფასოვნად შემოწმება. რაც შეეხება უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, დაწესებულებას ისინი ძირითადად გაწერილი ჰქონდა სასწავლო პროცესისთვის და ის გულისხმობს სხვადასხვა კითხვარების მიხედვით სასწავლო პროცესის შეფასებას, საკონტაქტო საათებზე დასწრებას და მასწავლებლის შეფასებას როგორც სტუდენტის, ისე ადმინისტრაციის მხრიდან.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია და დაწესებულებას ურჩია ამის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მეორე ხარვეზთან დაკავშირებით სთხოვა კომენტარის გაკეთება, რომელიც ეხება ქვეიჯარის ხელშეკრულების დარეგისტრირების საკითხს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რაზეც მან უპასუხა, რომ ექსპერტთა ვიზიტის ბოლო დღეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიტანეს განაცხადი, თუმცა განცხადებაზე პასუხი იმ დღეს არ ყოფილა მიღებული.

თამარ ქიტიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ბოლო ხარვეზთან დაკავშირებით სთხოვა პოზიციის დაფიქსირება, რომელიც ეხება დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და არ ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხარვეზი გამოსწორდა ვიზიტის დასრულების შემდეგ.

ლელა მაისურაძე დაინტერესდა, კონკრეტულად რა იგულისხმება მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმების არგათვალისწინებაში. მიხეილ სამხარაძის განმარტებით, მატერიალური რესურსების ეფექტურ გამოყენებაში იგულისხმება ის, რომ მატერიალური რესურსები, რომელიც დაწესებულებას აქვს, გამოყენებულ იქნას სრულად. რაც შეეხება მატერიალური რესურსების გაუმჯობესების მექანიზმებს, გულისხმობს შემდეგს: გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან სწრაფად ვითარდება IT ბაზარი, ხშირად არის ტექნიკისა და ინვენტარის მოდერნიზების საჭიროება. მისი თქმით, ქვესტანდარტში პირდაპირ არის ფორმულირებული, რომ ეს მექანიზმები შემუშავებული უნდა ჰქონდეს დაწესებულებას, თუმცა კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში ცალკე გამოყოფილი არ ყოფილა.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, დაწესებულების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიაჩნია, რომ მას ჰყავს საკმაოდ კვალიფიციური კადრები და აქვს რეკომენდებულზე ორჯერ უფრო ძლიერი ტექნიკა.

კახაბერ ერაძემ საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა ჩართულობის უფლება ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, რაზეც თანხმობა მიიღო. ის დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ, ცალკე იურიდიული პირი შეექმნა და არა მოქმედ უნივერსიტეტს მოეპოვებინა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განათლება სრულიად სხვა ტიპის განათლებაა, ჩათვალეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, შექმნილიყო სხვა დაწესებულება უნივერსიტეტის ძირითადი შენობების გარეთ, სადაც განავითარებდნენ პროფესიულ სწავლებას.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულებისა და ექსპერტების მხრიდან პოზიციის დაფიქსირების შემდეგ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად და აზრების შესაჯერებლად 18:00 სთ.-ზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 18:12 სთ.-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს აცნობა, რომ საბჭოს წევრებმა განიხილეს საკითხი, იმსჯელეს და შეაჯერეს თავიანთი მოსაზრებები. ისინი, პირველ რიგში, მიესალმებიან დაწესებულების გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ცალკე იურიდიული პირი დაფუძნდა პროფესიული პროგრამებისთვის. აღნიშნული ფაქტი ცხადჰყოფს დაწესებულების სერიოზულ დამოკიდებულებას საკითხის მიმართ, რაც საბჭოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მისასალმებელია, რომ დაწესებულებას ჰყავს მაღალკვალიფიციური და მოტივირებული პერსონალი, რასაც ექსპერტებიც ადასტურებენ, ასევე დაწესებულებას გააზრებული აქვს თავისი როლი მომავალში პროფესიული განათლების სივრცეში.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ბევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს წინასწარი განწყობა, წარმოდგენა და თავდაჯერებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიულ სწავლებას მარტივად გაართმევენ თავს, გამომდინარე იქიდან, რომ წლების განმავლობაში საგანმანათლებლო სივრცეში ოპერირებენ. თუმცა, მისი აზრით ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან პროფესიულ განათლებას აქვს თავისი სპეციფიკა, დაწესებულებას უფრო მეტი კავშირი მოეთხოვება კერძო სექტორთან, პრაქტიკული კომპონენტი უფრო მეტად არის გაძლიერებული, რაც განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს დაწესებულების მხრიდან და ერთგვარი გამოწვევაც არის მატერიალური რესურსის მართვის თვალსაზრისით, რადგან სახელოსნოებს და აღჭურვილობას სხვაგვარი მართვა სჭირდება. გარდა ამისა, პროფესიული განათლების სივრცეში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი რეფორმა და მასთან ფეხის აწყობა ასევე გამოწვევას წარმოადგენს. ერთი წლის წინ მიღებულ იქნა ახალი კანონი და ერთ კვირაში ძალაში უნდა შევიდეს ავტორიზაციის ახალი სტანდარტი, რაც არსებულ სტანდარტთან შედარებით, ხარისხის ბევრად მაღალ თამასას აწესებს სისტემაში და შესაბამისად, გამოწვევას უქმნის ჩართულ დაწესებულებებს. გამომდინარე აქედან, თუ არ მოხდება ძალების მობილიზება, ამ საკითხის სხვაგვარად გააზრება და უფრო მეტად ადაპტაცია პროფესიული განათლების თავისებურებებზე, მხოლოდ უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა არ იქნება საკმარისი დაწესებულების წარმატებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ექსპერტების მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მათგანი უკვე გამოსწორებულია და გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების ფუნქციონირებას ამ გარემოებათა გამო პრობლემა არ შექმნია და არც სტუდენტების ინტერესები არ დაზარალებულა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას აღნიშნული ხარვეზები. თუმცა, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს

ურჩია, სამომავლოდ მაქსიმალურად გაითვალისწინონ ახალ სტანდარტში აღწერილი ყველა გარემოება და პირობა და ითანამშრომლონ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და ისარგებლონ მისი მხარდაჭერის სერვისებით. მისი თქმით, თუ უნივერსიტეტი წარმატებული და მაღალრეიტინგულია, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ პროფესიული განათლების ნაწილში მხარდაჭერა არ სჭირდება.

თამარ ქიტიაშვილმა ავტორიზაციის ექსპერტებს ჰკითხა, მისაღებია თუ არა სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა, რაზეც მათ უპასუხეს, რომ სრულიად ეთანხმებიან და უფრო მეტი სტუდენტის მოთხოვნის შესაძლებლობასაც კი ხედავენ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405318570) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი/კოლეჯი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვებტექნოლოგიები *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	15	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N5ᵃ
2	კომპიუტერული ქსელი და სისტემები *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 0612	95	125	ქართული	15	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N5ᵃ
3	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება *(1)*	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში 0612	117	147	ქართული	15	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N5ᵃ

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დააასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აღნიშნული საკითხის განხილვის დაწყებამდე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, გიორგი ხიშტოვანმა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს აცნობა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ვერ ესწრება საბჭოს სხდომას, თუმცა არსებობს მინდობილობა იმ პირების თაობაზე, რომლებსაც ანიჭებს უფლებამოსილებას, წარმოადგინონ კოლეჯი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, თავი წარედგინათ საბჭოს წევრებისთვის. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ირმა ლომაია და იურისტი მარიამ წივწივაძე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ვახტანგ ბოგველიშვილმა და ეკა ბარათაშვილმა. ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ბოგველიშვილმა, საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია ფოტომასალით. განხილვის დასაწყისში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 18 სექტემბერს. ეს იყო არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი დაწესებულების ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა დადგენილ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასებას მატერიალური რესურსების კუთხით. მისი თქმით, დაწესებულება გეგმავს, განახორციელოს ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი და ბუღალტრული აღრიცხვა, რომელთა განხორციელების უფლებაც უკვე მოპოვებული აქვს და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 120-ია. როგორც ვახტანგ ბოგველიშვილმა აღნიშნა, ხარვეზი არ გამოვლენილა. თუმცა, ვებგვერდის შემოწმებისას, ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ არ იყო მოცემული ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლების შესახებ. ამის შესახებ ადგილზევე ეცნობათ დაწესებულების წარმომადგენლებს და ვიზიტის პერიოდშივე მოხდა ამ ინფორმაციის ასახვა ვებგვერდზე. გარდა ამისა, ტექნიკური ხასიათის შეცდომა დაფიქსირდა საქმისწარმოების კუთხით, კერძოდ, გასული წერილების სარეგისტრაციო ჟურნალში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი წერილი აღნიშნული იყო ინდექსით 02/16, ხოლო თავად წერილზე სარეგისტრაციო ნომრად მითითებული იყო ინდექსი 02/20. დაწესებულების განმარტებით, ეს იყო ტექნიკური შეცდომა. ვახტანგ ბოგველიშვილის თქმით, სხვა მსგავსი შეცდომა ექსპერტებს არ დაუფიქსირებიათ და საქმისწარმოება მიმდინარეობდა გამართულად.

ექსპერთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემოწმდა ყველა ის რეგულაცია, რაც უკავშირდება სამედიცინო მომსახურებას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას, წესრიგის დაცვას, სველ წერტილებს (მათ შორის შშმ პირებისთვის). არის ადაპტირებული გარემო. ვახტანგ ბოგველიშვილის თქმით, მიუხედავად, იმისა, რომ ახალი ფართი წინა ფართთან შედარებით უფრო პატარაა, ეს არ ქმნის პრობლემას სტუდენტთა ადგილების მოპოვებულ ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, თუ რა იყო დაწესებულების ფართის ცვლილების მიზეზი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს ცვლილება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: ძველი გარემო არ იყო სასწავლო პროცესისთვის შესაფერისი, დაწესებულების შენობა განლაგებული იყო ისეთ ადგილას, სადაც იყო ავტომანქანების შესაკეთებელი ობიექტები და მუდმივად იყო ხმაური. გარდა ამისა, შეიცვალა დაწესებულების მფლობელი და ახალი შენობა ეკუთვნის მას.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406250140) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

გამომდინარე იქიდან, რომ მოხდა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ფართის ცვლილება, კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს სთხოვა, განეხილათ თანმდევი საკითხი შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში ახალი მისამართის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კენჭისყრაზე დაეყენებინათ ბუღალტრული აღრიცხვის

საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციისა და კოდის ცვლილების საკითხი და ძველი კოდი შეცვლილიყო ახლით - ექვსნიშნა კოდის ნაცვლად ოთხნიშნა კოდით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე საფეხური	ბაგა - ბაღის აღმზრდელი - პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	101	131	ქართული	80	ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვეთი N1/40)
2	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	40	ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვეთი N1/40)

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:34 სთ.-ზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

სხდომის მდივანი
ლელა მაისურაძე